

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა და მასზე საქართველოს წარდგინების შესაძლებლობა

მიხეილ ციხელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

კულტურის მენეჯერის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა „სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის
მენეჯმენტი“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ვაჩიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

Frankfurt Book Fair and the Possibility of Georgia's Presentation at It

Mikheil Tsikhelashvili

Master's Thesis is presented to Ilia State University,

Faculty of Arts and Sciences

As required to get MA degree in Management of Culture

Major Program "Art Theory and Practice Studies, and Cultural Management"

Selected tutor for thesis: Nikoloz Vacheishvili, PhD

Ilia State University

Tbilisi, 2017

განაცხადი

მე, წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ტექსტი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომის შექმნაში გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის ბატონ ტობიას ფოსს და ქალბატონ მედეა მეტრეველს.

მიხეილ ციხელაშვილი

14.12.2016

Statement

Me, the author of presented Master's thesis, take responsibility to make a statement that following work is my original text and does not include the published or pre-published works written by other authors without quotation as standard.

I thank to Mr. Tobias Voss and Ms. Medea Metreveli for their priceless help in creating this work.

Mikheil Tsikhelashvili

14.12.2016

აბსტრაქტი

მსოფლიო ბიზნესში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა სპეციფიკის ბაზრობებსა და გამოფენებს, რომლებიც ამა თუ იმ სფეროში გამოვლენილ სიახლეების წარდგინებას უწყობენ ხელს. ეს ღონისძიებები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ ვლინდება და მკვიდრდება გარკვეული ტენდენციები შერჩეულ სექტორში, რაც მათი ეკონომიკურ პლატფორმად ქცევის მიზეზიც არის. სიტუაცია იგივეა კულტურის სფეროშიც, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც კულტურის ორგანიზაციები მეტმნიშვნელოვნად კომერციალიზებული სტრუქტურისანი არიან. მსგავსი ტიპის ბიზნესის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი საგამომცემლო სექტორია, სადაც კულტურა და კომერცია პირდაპირ გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. საგამომცემლო სექტორში ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზრობა გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ყოველწლიურად იმართება და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანიც სწორედ ამ - მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური წიგნის ბაზრობის წარდგენაა მკითხველი აუდიტორიისთვის.

ტექსტი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება; პირველი ნაწილი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის წარდგინება და მიმოხილვაა, მაგრამ არა მხოლოდ როგორც რიგითი კულტურის ორგანიზაციის, ანდაც ამავე სახელწოდების ყოველწლიური ღონისძიების, არამედ ასევე როგორც კულტურის სექტორში არსებული მოთამაშის, რომელიც ევროპული წიგნის ბაზარზე იმხელა როლს ასრულებს, რომ თავად პროდუქტის რაობასა და სახეზეც ახდენს გავლენას. ეს ელემენტი მას უიშვიათეს ფენომენად აქცევს, რადგან ფაქტობრივად არ არსებობს სხვა ბაზრობა, რომელიც მსგავსი სიძლიერით ეხება პროდუქტის შექმნასა და მისი ბაზარზე პრეზენტირების ფორმას.

დისერტაციაში საუბარია ასევე ბაზრობის, როგორც ორგანიზაციის გეოგრაფიულ გავრცელებაზე, მის ისტორიულ კონტექსტსა და მნიშვნელობაზე კულტურის სფეროში, ცვალებადობაზე - დაარსების დღიდან თანამედროვეობამდე,

მედია მხარდაჭრაზე; ნათლად ჩანს ის გარემოებაც, რომ გარდა კულტურული პლატფორმისა, ფრანკფურტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ პლატფორმასაც. თეზისში ცალკე თავი ეთმობა 1970-იანი წლებიდან ამუშევრულ პროგრამას „საპატიო სტუმარი“, რომელიც ხსენებული წიგნის ბაზრობის სიძლიერის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია.

რაც შეეხება ნაშრომის მეორე ნაწილს, მისი არსებობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ 2018 წლის შემოდგომაზე საქართველოს მიენიჭიება საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე. შემავალ თავებში პირველ რიგში მსჯელობა ეთმობა იმის განხილვას, თუ რა დონის გამოწვევასა და შესაძლებლობას წარმოადგენს აღნიშნულ პროგრამაში ჩართვა ჩვენი ქვეყნისთვის. საუბარია ასევე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სსიპ „ქართული წიგნის ეროვნული ცენტრისა“ და მის მიერ შემუშავებული პროგრამების შესახებ, რომელიც მიმართულია ფრანკფურტში წარმატებული წარდგენისა და ლოკალური წიგნის ბაზრის დახვეწა-განვითარებისკენ. სწორედ ეს ცენტრი აორგანიზებს საქართველოს პრეზენტაციას 2018 წლის შემოდგომაზე, შესაბამისად მათი მზადების პროცესის მიმოხილვა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რადგან სწორედ ამ პროცესიდან გამომდინარე ვეცნობით დასახულ მიზნებსა და ვიქმნით ლოგიკურ მოლოდინებს.

დისერტაციის ბოლო თავი კი აერთიანებს ქართული წიგნის ბაზრის და მის წინამორბედ საბჭოთა წიგნის სექტორის მიმოხილვას. მიმაჩნია, რომ აღნიშნული თავი ამ ნაშრომისთვის უმეტესწილად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საფუძვლიანად აღვიქვათ, თუ რა პროფესიონალური რესურსით ვემზადებით იმ გამოწვევისთვის, რომელსაც 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა გვახვედრებს.

ნაშრომს თან ერთვის ინტერვიუები შემდეგ რესპოდენტებთან:

ტობიას ფოსი - ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტი;

მედეა მეტრეველი - ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

ბაკურ სულაკაური - გამომცემელი, პედაგოგი, „თბილისის მწვანე სკოლის დირექტორი“.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფრანკფურტი, ბაზრობა, საგამომცემლო სექტორი, წიგნის ბაზარი, კულტურის დონისძიება, კულტურის ორგანიზაცია, საავტორო უფლებები, საპატიო სტუმარი

Abstract

Various types of fairs that present the innovations in selected fields are always a big subject of attention in the world business. Such kind of events is important because it highlights many different tendencies, turning fairs into huge economic platforms. The situation is similar with culture segment, especially with the sectors where cultural organizations are strongly bonded with profit structures. Publishing business is one of the brightest examples of that kind. The annual Frankfurt Book Fair (FBF) is perhaps the most important event in the publishing field today. This work of mine intends to introduce FBF, the world's largest book fair, to the audience.

The text is divided in two parts: Part 1 is a presentation and review of FBF not only as an ordinary cultural organization (or an event of the same name), but also as an important player in cultural field that plays a big role in European book market, influencing the form and type of literary product. This element makes FBF an exceptional phenomenon, because there is no other fair that is involved in the process of product creation and its presentation so strongly. The thesis also describes the geographical scale and expanse of FBF, its historical background and context, importance in cultural field, media support and coverage, developments and changes from its founding day so far. FBF's importance as a cultural and economic ground besides being a cultural platform is also made clear. A separate chapter is dedicated to the "Guest of Honor" program which is organized by Frankfurt Book Fair since 1976, that has emerged as one of the main causes of FBF's enduring strength.

The second part of the thesis was written due to Georgia's forthcoming appearance at FBF 2018 as Guest of Honor. The chapters included discuss and examine the levels of challenge and possibility this program represents for Georgia; describe "Georgian National Book Center" (GNBC) which organizes our country's appearance at the fair and analyzes the

programs GNBC launched for developing local book market. Describing the process of preparation for Frankfurt Book Fair is one of the main topics in the following work, elucidating the aims and logical expectations. The last chapter of the dissertation combines the reviews of Georgian book market and Soviet publishing sector that served as its predecessor. This chapter is important to for proper perception of human resources and level of professionalism Georgia has on its way to the challenges Frankfurt Book Fair 2018 poses for the country.

As the addendums presented Master's Thesis include three interviews with following respondents:

Tobias Voss – Vice president of Frankfurt Book Fair

Medea Metreveli – Director of Georgian National Book Center

Bakur Sulakauri – Publisher, Teacher, Principal of “Tbilisi Green School”.

Key words: fair, publishing sector, book market, cultural event, culture organization, intellectual rights.